



საპარო

№ 371

გაზეთის ფასი:

წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაბათი დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კი დევ ნაწილნაწილად

განცხადების პერიოდში

ჩვეულებრივი სტრიქონი ჰქონდა 15 კ., უკონსტანტო 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებული განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტროტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლობალური განცხადების დაბეჭდვა თითო-ჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 4 მ. 2 ს ა ა თ ს შე მ დ გ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიბერალური ზაფითი.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 2 ივნისიდან ასახი პრემიერა

პატი შურნალი 343. მაშინავე ამბები.

ნავთობი და მილიონების საფუძველი

მეორე სერია 4 ნაწილად ემართება.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ორშაბათიდან, 2 ივნისიდან ასახი პრემიერა

პრემიერა ზომიერი, მაშინავე ამბები.

სიყვარულის განჯვა.

4 ნაწ. ურდისკის მიერ დადგმული მსახივრული კინო დრამა, მისთვის თეატრის მსახივრთა ბ.ნ. ი. ი. მოსკოვისა და ქ.ნ. პოლტავის მონაწილეობით.

ადგილების ფასი „ამპირი“ და „რადიუმში“; ლოკა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწვევით: 2 ადგ. 30 კაპ., ჯარის კატათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

კვირას, 5 ივნისს, დღის 12 საათზე, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში დანიშნულია „სინათლის“ საზოგადოების წევრთა

საზოგადო კრება.

კრების წესები: 1) კრების თავჯდომარისა და მდივნის არჩევა. 2) შემოსავალ-გასავლის ანგარიში და მოხსენება საზოგადოებისა და სასწავლებლის მოქმედების შესახებ. 3) სარევიზო კომისიის მოხსენება. 4) მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა. 5) მოხსენება წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლის შესახებ. 6) მოხსენება ადგილის შეძენის შესახებ. 7) გამგეობისა და სარევიზო კომისიის წევრთა არჩევა ნაცვლად იმ პირთა, რომელთაც წესდების მიხედვით სამსახურის ვალა უთავდებოდა.

ვენახის საწამლათ.

იუდეება ცნობილი ქაქუნის სითხე, რომელიც ვაზს იცავს შედეგ სნეულებისგან: მიღებულიდან, იოდოვიდან და სხვადასხვა მანერა შედგება. ამ სითხით წამლობენ შეიდი წლის განმავლობაში და ნაყოფიც დიდია.

წამლობისათვის საჭიროა კოლოფი (ფხვნილი) „ტრინდენისა“. იუდეება აგრეთვე პულვერიზატორი და სამარგელი მანქანა ვენახებისათვის. მისამართი: სავაქრო სახლი „კლოტეგურული“ ქუთაისი, კახიანოური. თ.

ქუთაისის ერთ-ერთი საშუალო სასწავლებლის უფროსი კლასის რუსული ენის მასწავლებელი (ტომი რუსი) რჩება რა საზაფხულად ქუთაისში,

ამზადებს მოწაფეებს

საშუალო სასწავლებლის ევალ კლასებისათვის, სპეციალურად კი რუსულ ენაში.

მისამართი: ძველი თბილისის ქუჩა, სახლი წინამძღვროვისა.

პირდაპირ მოლაპარაკება ნაშუადღევს 2—5 საათამდე. 6-3

მედიკი გაბრიელ იოსების ძე **გოპიშვილი** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერული ავთ-მეოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ 6-8 ალექსანდრე ქ. საკუთარი ს. თ.

მედიკი **ი. ზარბაძე** ქალაქ. სავაქრო-ყოფის ორდინატორი. იღებს კანის, ვენერული და სიფილისიან ავთმეოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით, 12 1/2—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მისამართი: ლევანოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

მედიკი **ი. მ. ასათიანი**. რადიკალური სამსახურის გამო კისრებში გაიჭყაეს მისერაფერ წყლისა და ჭკუის ქემაღ მან ავთოოფების მიღება 1 ავსტომადის შესწავლა.

შვილები: დავით, ნიკოლოზ, ალექსანდრე და ვანისკა სიმონის ძენი ბერძენიშვილები, ნადეჟა ბერძენიშვილის ასული ტერ-პეტროსოვისა, ნინა ბერძენიშვილის ასული ფილიპოვისა; სიძეები: ფილიპე სიმონის ძე ფილიპოვი, გიორგი ალექსანდრეს ძე ტერ-პეტროსოვი, ძმა კონსტანტინე დავითის ძე ღვანია, დები: მარგალიტა ღვანიას ასული ჩირაძისა და მართა დავითის ასული ბურჯანაძისა, მამიდისშვილი ანტო ჩორგო-ლაშვილის ასული და მეუღლე მისი გიორგი სირბილაძე მულის შვილე-ბი; მარიამ ივანეს ასული ძოწენიძისა და ნინა ივანეს ასული მაკარიძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ-ნაცნობებს გარდაცვალებას ხანგრძლივი ავთმყოფობის შემდეგ ჩვენთვის საყვარელი.

პასუხი ღვაწლის ასულის

ბერძენიშვილისა.

და გთხოვთ თქვენი მოპოვებით ნუგეში სცეთ დამწუხრებულ კირისუფლებს. გამოხვედნება კვირას, საღამოს ხუთ საათზე, საფიქრის სასაფლაოზე საკუთარი სახლიდან. პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს რვის ნახევარ საათზე. 1—1

მსოფლიო ომი.

დავალება.

შეადგინი მთავარსარდლის შტაბისა.

დასავლეთის ასპარეზი.

პატრონარდი. 2 ივნისი. მდ. დონის პირზე, ნაროვის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, მტრმა ზოგ ალაგას არტილერიის ძლიერი ცეცხლი გააჩნა. შემდეგ სკადეს იერიშებით წამოსვლა, მაგრამ მოვიგერეთ ბარანოვიჩის მიდამოებში მოხდა კეხიო ხასიათის ბრძოლა, რომელშიც ჯერ დავიპყრით მტრის სანგრები, შემდეგ კი ჩვენ ალაგას დაებრუნდით. გენ. ბრუსილოვის ჯარის წინსვლა გძელდება. კვლავ ჩავიდეთ ხელში ტყვეები და სამხედრო დავლა მოწინააღმდეგეს ზოგ ალაგას კონტრიერიშები მოაქეს, ზოგ ალაგას ახალ სანგრებზე მაგრდება. დამატებითი ცნობების მიხედვით, ტყვეთა და დაღუპის რაოდენობა შემდეგია: ერთი გენერალი, სამი პოლკის უფროსი, 2,367 აფიცერი, 5 ექიმი, 150,000 მდე ჯარისკაცი, 163 ზარბაზანი, 266 ტყვის-მფრქვეველი 131 ყუმბარის მტყორცნელი 32 ნაღვის მტყორცნელი.

გალციის ზღვა. 1 ივნისის დამეს ჩვენმა ნაღმონებმა იერიში მიიტანეს მტრის ხომალდების კარავანზე, თან მოსდევდა საღარაჯო გემი, ჩვენ დავღუპეთ ორი ტრანსპორტი და ერთი მაშველი კრეისერი, რომლის მსახურნიც დავატყვევეთ. ჩვენ ზარალი არ მოგვსლია. მტრის გემებმა შეეცადეს ტერიტორიული წყლებს შეეფარეს თავი და დევნაც შეესწყვიტეთ.

პანასისის ასპარეზი. მდგომარეობა უცვლელია.

ლონდონი. 2 ივნისი. ოფიციალური ცნობა ბრიტანიის მთავარი ბანაკისა საფრანგეთში. ქვეითა ჯარის ბრძოლა არა ყოფილა. წინა დღეს ინგლისელების მიერ დაპყრობილ სიმაგრეებს იპრის აღმო სავლეთითმტრმაზარბაზანი დაუშინა. ტყვეთარიცხი 161ა. სხვა ალაგებშისაარტილერიო და სანადგო ბრძოლა.

სამხედრო სამინისტრო იტყობინება: ეგვიპტეში. საჰერო იერიში მოუტანია ინგლისელებს მოწინააღმდეგის ბანაკზე, პირობაში ელარამი-დირმაზარზე. ჩამოუგდით ფოკერი. მტრის პეროპლანმა იერიში მიიტანა სერაპუნზე, ყუმბარები ჩამოუყრია ბუეტის არხში. ინგლისელების ზარბაზნის ცეცხლს პეროპლანი უკუშტკეცია.

პარიზი. 2 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ვერდენის ჩრდილოეთით დრო და დრო არტილერიის სროლა. ასპარეზის დანარჩენ ნაწილში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

პანკი. 1 ივნისი ბელგეთის ცნობა. დიქსმიუდეს რაიონში, განსაკუთრებით სტენტრატის მიმართულებით, შედარებით

ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. **რუმინი.** 1 ივნისი. პოზიონს ბრძოლის პირზე, ფორნალტი კომილია-მონტე-ჯოვეს მიმართულებით 30 მაისს, საღამოთა, ავსტრიელებმა ძლიერი არტილერიის ცეცხლის შემდეგ მოიტანეს იერიშები, მაგრამ ყველგან მოიგერიეს და დიდი ზარალიც მივაყენეთ.

ადიჯე—ბრენტს ბრძოლისპირზე, განსაკუთრებით მონტე ნოვენოს მიმართულებით გუშინ ავსტრიელები სხვადასხვა ყალიბის ზარბაზნებს უშენდენ იტალიელებმა გაუძლეს და მათი ქვეითა ჯარი წინ წავიდა საიერიშოდ. ავსტრიელებმა იტალიელების მიერ წინა დღებში წართმეულ ალაგის დასაბრუნებლად მიიტანეს კონტრიერიში, მაგრამ დოდეს—ტანოს ჩრდილოეთით დამარცხდნ. ზედა ფელაზე, ზეგბახის დღეში უშინშენლო შეტაკებანია. იზონკოზე თვალსაჩინო არა მომხდარა რა.

ქურნალ-გაზეთებიდან.

გალიციის ასპარეზზე ქ. ლუცკის და კარგვის შესაძლებლობა ავსტრიის სამხედრო შტაბს ადრევე სცოდნია. ქალაქის კომიტეტს სხვადასხვა გამოჩენილ პირისთვის განუცხადებია, რადგან მოსალოდნელია ქალაქის დატოვება, ამიტომ ვისაც როგორ გსურთ, ისე მოიქცეთო.

გალიციის ფრონტზე დაიჭრა და გარდიცვალა რუსეთის ერთერთი კორპუსის სარდალი გენერალი მიკულინი.

შეთანხმების პრესა დიდის ამბით ეგებება რუსების წინსვლას და გამარჯვებას გალიციის ასპარეზზე: „დალუ ნევი“ სწერს: ცხადია, რუსთა დღევანდელი შეტევა დიდთა ნაყოფიერი იქნება, ჩვენი გეგმაშირენი არა მარტო გალიციას დიპყრობენ, უნგრეთის სატახტო ქალაქ ბუდაპეშტზეც მალე გაილაშქრებნო.

ავსტრო-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ცნობილი გრაფი ანდრაში რუ-მინიას გაემგზავრა.

„რუსკ. ვედე“. ცნობით, საბერძნეთის მთავრობას გადაუწყვეტია ქ. ლარისაში გადასვლა. ამ განზარაბის იმით ხსნიან, რომ საბერძნეთი მოელოს მოკავშირეთა ფლოტის თავდასხმას.

ვერდენის ასპარეზზე დაკარგულ ფორტ „გოს“ შესახებ გაზეთი „ტაიმსი“ სწერს: „გოს“-ს ალბით გერმანელები მეტად მიუახლოვდნენ ვერდენს. ეს სინამდვილეა და დამოუკიდებელი არ შეიძლებაო.

სტოხოლმეს გარშემო უსაშინელები ბრძოლა. რუსის ჯარი ქ. კოველში შეჭრას ღამობს. ქალაქი კოველი მიუვალ სიმაგრეთ გადაუქცევიათ ავსტრიელებს.

ამ ბოლო დროს ტრაპიზონის მიმართულებით ოსმალებმა იერიშების მოტანა გაუშვირეს. ტრაპიზონის რაიონში მოქმედებს ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის წევრი ჰამიდბეი. რომელსაც თავის კერძო განკარგულებაში 30,000 კაცი ჰყავს.

მისკის მიმართულებით გერმანელებმა სამხედრო მოქმედება გააძლიერეს, რაც, სამხედრო ავტორიტეტების აზრით, გალიციის ამბების ზეგავლენით არის გამოწვეული.

ავსტრიის ტყვეებში 17 წლის ახალგაზრდები ყოფილან, ტყვეებში ბევრი გერმანელი აფიცერია. რადგანაც საბერძნეთმა გადაჭრილი პასუხი არ გასცა შეთანხმების სახელმწიფოებს და მუდამ რყევანია, ამიტომ ინგლისს—საფრანგეთმა გადაწყვიტა საბერძნეთის ყველა ნავსადგურისთვის საერთო ბლოკად შემოერტათ, რაც აასრულებს კიდევ. რუმინული გაზეთი „ადრეველი“ სწერს: ეს ნაბიჯი იმ მოვლენამ გადაადგმევინა მოკავშირეებს, რომ საბერძნეთი ამ ბოლო ხანს აშკარად იხრება ცენტრალ სახელმწიფოებისკენ და ბულგარეთის ჯარებს თავის ნებით უბრძოლველად უთმობს ტერიტორიას და გამაგრებულ ადგილებსაო.

საბერძნეთის მდგომარეობა მეტად კრიტიკულია: ბირეზე ყოველგვარი ოპერაციის წარმოება შესწყდა. საბერძნეთის პარლამენტის წევრმა სტრატოსმა ვენიხლოსი დღელში გაიწვია.

გერმანიის კონსერვატორები წინააღმდეგნი არიან, რომ საზავო მოლაპარაკებაში შუა კაცობა ვილსონმა იყოსო.

დონის ფრონტზე ქვეითა რაზმების შეტაკებაა. არტილერიის მოქმედება შესუსტდა. ხშირად ჩნდებიან გერმანიის პეროპლანები.

მაკედონიის ფრონტზე ვარდარის ორივე ნაპირთან ცხარე საარტილერიო ბრძოლა ხდებოდა. კარასულთან და გვეგელთან საფრანგეთის პეროპლანებმა საჰერო ბრძოლა გამართეს.

გალიციის ასპარეზზე ოლიკის მიმართულებით ბრძოლას სამხედრო ავტორიტეტები დიდ მნიშვნელობას აკლავებენ, აქ რუსთა და ავსტრიელთა ჯარები ძლიერ დაუახლოვდნენ ერთმანეთს. სამხედრო ავტორიტეტების აზრით, ოლიკის ოპერაციაზე დამოკიდებულია გალიციის ბრძოლის ბედი.

ინგლისის ფლოტილის ბელგიის სანაპიროებისთვის ყუმბარები დაუშენია. დაშენის ხმა თურმე ჰოლანდიაში აღწევდა.


ბერლინიდან იუწყებიან: ბალკანეთზე დორიანთან ძლიერი შეტაკებები დაიწყო. აქ ბრძოლაში მონაწილეობას ლეზლობენ საფრანგეთის პეროპლანები.

შავ ზღვაზე რუსეთის წყალქვეშა ნავმა დაატყვევა ოსმალეთის დიდი გემი, რომელიც ქვანახშირით იყო დარგირთული და რომელიც კონსტანტინოპლ სტამბოლს მიდიდა.

საბერძნეთსა და შეთანხმების სახელმწიფოთა შორის ურთივრესი მოლაპარაკება სწარმოებს ლონდონში. საბერძნეთმა მთელი თავისი სამხედრო ძალები დემობილიზაცია გამოაცხადა.

ათინაში ცეცხლი გაუჩნდა და დი-

1890



მოსავლის შემოსვლამდი გუბერნიის მცხოვრებთა უზრუნველსაყოფად დაინახა გა მოითხოვოს საზოგადო საიმპერიო ჯამიდან სუბსიდი. ყურადღება უნდა მიექცეს მომავალ წელში დაუთესავ ადგილების რაოდენობას და სათანადო ზომები იქნეს მიღებული.

ამის შესახებ დღეს, საღ. 8 საათზე, საგლეხო საკრებულოში გუბერნატორის თავჯდომარეობით შესდგება თათბირი.

◆ 2 ივნისს რიონის პირად ბანაობდა გრიგოლ მის ნეფელავი, უცაბედათ ჩავარდა წყალში და დაიჩრა დამხვალის გვამი ჯერ არ უნახავთ.

დიან, დრო არის!

ბა არამც თუ ქართველებს, არამედ სრულიად კულტურისან ევროპას, ჩვენი დიდება და სიამიყე მეორე სათათბიროში ი. წერეთელი. მის შედაგება სტალინთან. დებუტატი მ. აგეშოვი "Солн це Россій"-ში სწერს, მეორე სათათბიროზე: „მეორე სათათბირო ეს უსაშინესესი ტრადიკული გვერდთაგანია არა მარტო ჩვენი, არამედ შეიძლება მთელი საყაროს ისტორიის ფურცლებისა. ჩვენმა მხარემ თავის მისწრაფებათა და მოთხოვნისებთა დასაცავად გამოგზავნა უღმამავესი შეილებთაგანი და თვითონ კი პირველი რეაქციით განადგურებული უმწევოთ იყო დარჩენილი. ჩამოინგრა თავრიდის სასახლის კერი, ჩვენ სხდომა გაგმართეთ თავად-აზნაურთა საკრებულოს დარბაზში, სახელმწ. საბჭოს წითელ მაუდიან „კრესლოებზე“ ვისხედით.

ტრიბუნაზე აღის დგ. წერეთელი და ამბობს: უნდა დაიმზოს „საველე სასამართლოების“ მთავრობა. მას პასუხს აძლევს სტალინის: „-ვერ შეგვაშინებთ“. ყველანი გრძნობენ ამ სიტყვებში რევოლიუციისა და რეაქციის შეტაკებას და უკანასკნელის გამარჯვებას. კეთილშობილი და მამაცი წერეთელი პასუხის გემაში მისცეს და მასთან მეორე სათათბიროს ანდერძი აუგეს. ჩვენ დაგვათხოვეს.

დაბოლოს, ვის არ ახსოვს 3 ივნისის აქტი, რომელშიც საძირკველი ჩაუყარა ახალ ხანას ჩვენს წარმომადგენელთა და წესებულების ცხოვრებაში, და ცხოვრების ზედპირზე ამოატივტივე; გუჩკოვები, ბალაშოვები, ბობრინსკები, კრუპენსკები, მარკოვები, პურიშკევიჩები, ზამი-სლოვსკები და ძმანი მათნი.

ალ. ჟაქსტი

შათა საკითხის შესახებ კომისიის დადგენილება მშრომელ ხალხის წესიერი და სვენების შემოსაღებათ.

ხსენებულმა კომისიამ დაადგინა, ნაცვლად მესამე სათათბიროს 12 საათის სამუშაო დღისა, შემოღებულ იქნას 10 საათის სამუშაო დღე. ამ 10 საათში 2 საათი მუშებს სადილისათვის ჩათვლება. მაშასადამე, რჩება 8 საათის სამუშაო დრო, რასაც კარგა ხანია ელოდა მშრომელი ხალხი ამ დადგენილების ძალით, კვირ-უქმე დღეებში მუშა მოსამსახურენი სრულიად თავისუფალნი არიან...

აგრეთვე გამოცემულია კანონი სხვადასხვა ეროვნების შესახებ, მაგალითად, მუსულმანებს და ებრაელებს შეუძლიათ იმ დღეს დაისვენონ, რომელი დღეც მათი სასულიერო უწყებით იუქმება.

რა თქმა უნდა, ასეთი კანონი დიდ სასახურს გაუწევს მშრომელ ხალხს, თუ, რასაკვირველია, ჭიგი ამ კანონით შემოღებულ დროს გონივრულად გამოიყენებს და თვითგანვითარების საქმეს მოაწდომებს.

ა — ძე.

დღევანდელი ვითარება.

„არეც დარევის“ ხანა გრძელდება, მეზობლო ქვეყნების მდგომარეობა დღითი დღე მძიმდება და აუტანელი ხდება.

გარდა იმისა, რომ აწინდელმა უსაში ნელესმა ომმა მშრომელი ხალხის დიდძალი მსხვერპლი შეიწირა და მთელი კაცობრიობა ამგლოვიარა, ამავე ომის ქარცეცხლმა შთანთქა მეომარ სახელმწიფოების ნივთიერი შეძლება.

დღეს ნივთიერად ღონიერ და მომწიფებულად ჩათვლილ გერმანიასა, ინგლისსა და საფრანგეთში დიდი კრიზისის ხანა დადგა, ეს სახელმწიფოები შინაურ სესხით უკვე ვეღარ ფარავენ ომის ხარჯებს.

ასეთი ვითარება დღეს მეზობლო ქვეყნებში გამეფებული და ვინ იცის როდის ექნება ამას დასასრული? მაგრამ ერთის თქმა კი შეიძლება.

„დღევანდელი უკიდურესი კრიტიკული ვითარება აიძულებს მეზობლო მხარეებს, რომ ქვეყნის შინაურ ცხოვრებას უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ, ვიდრე ბრძოლის ველს და იმპერიალისტურ ლტოლვილებას საზღვარი დაუდვან.“

ამის ნიშნებს ჩვენ უკვე ვხედავთ: დღეს იძახიან „ომი თავდაცვითი“ და არა „დაპყრობითი“, ამრიგად მსოფლიო ტრადილია ნებით თუ უნებლიეთ დამთავრებისკენ უნდა გაექანოს და სწორედ დღეს ჰმართებს საზოგადოებრივ აზრს ზედმეტი მუშაობა და ნიჭის გამოჩენა, რომ ასეთი დიდი მნიშვნელობის ისტორიული მომენტი უბრალოდ არ ჩატარდეს და ის, ვინც ამ ტრადიციას უამრავი მსხვერპლი შესწირა ხანა მშრალი არ დარჩეს. საჭიროა საერთო საზოგადოებრივ აზრის ამოქმედება, რომ დღევანდელი ომი ჩვენთვის ყველა დასამონებლად და იმპერიალისტებისთვის საპარპაშოდ არ დამთავრდეს.

„ყარა მურზა“.

რუსეთის სატახტო პრესას და განსაკუთრებით კი პეტროგრადელ კადეტთა „რეჩს“ და მოსკოველ „პროფესორთა ორგანოს“ რუსკია ვედომოსტს“ კავკასიიდან ყოველდღე ახალ ახალი „მქერმეტ ყველი პუბლიცისტ-კორესპონდენტები უჩდებათ.

ხსენებული ორგანოების ცალმხრივობას და ორკუთხობას ჩვენ აქ არ შევეხებით.

თუ როგორი გაიძვერული პოზიცია დაიკირეს მათ ქართველთა და მაჰმადიანთა მიმართ, ეს დღეს ამ ორი ეროვნების საზოგადოებებმა საკმაოდ უწყაიან.

ეს ორგანოები ყოველ ღონესა და ხერხს მიჰმართავენ როგორმე სომხის „სუეკულიანტები“ რუსეთის პროგრესიულ ნაწილისთვის დემოკრატიზად „გარდაექნათ“ ცამდ. აქმელობით, ქართველობა და მაჰმადიანობა კი მიწასთან გაესწორებიათ. ყოველივე ეს იმიტომ მოიმოქმედეს, რომ ისინი წარსულ საერობო თათბირზე რეალურ პოლიტიკას დაადგენ და სომხის 21 სოცდაგარს ხელში ჰეგემონია არ ჩაუგდეს.

დაე, განაგრძონ რუსეთის სატახტო გაზეთებმა ამ გზით სვლა. ჩვენ არ შეგვშურდებია, რომ, პეტროგრადელ-კადეტთა ლეიბ ორგანო „რეჩი“ ღმწაკაცანებს უკიდურეს დემოკრატიზად სთვლის და მთავრობას მათ საჩქაროდ განთავისუფლებასა სთხოვს, მაგრამ გვაშფოთებს ხოლმე ის მოვლენა, როდესაც ამ გაზეთებში ვიღაც უცოდინარი კალმოსნები ეხებიათ მთელ ქართველ ერს, და მის მიმართ ყოველდღე უმგვაწო ტყუილებს სთხვენ.

თუ რა ანოქმედებთ ამ ვერცხლის მონებს, ჩვენთვის, ეს ცხადია, ამიტომ მათ ღირსეული პასუხის ღირსადაც არ ვსთვლით მხოლოდ არ შეგვიძლია უხმოთ დავსტავოთ პროფესორების“ „რუსკ. ვედ“, რომლის 122—123 ში მოთავსებულია ვეებერთელა ფელეტონი (О большомъ импеломъ национализмѣ), სადაც დიდი სამართლიანობის მოსაჩრლედ გამოდიან. ეს გაზეთი ყოველივე ცალმხრივობას გმობს და ყველა ერისთვის თავისუფლებას ჰქადაგებს, ამავე დროს ადგილს უთმობს ვიღაც პაქოელ ყარა მურზას წერილს ამ სათაურით: „რუსეთის საზოგადოება და კავკასიის ერები“, სადაც ბატონი ყარა მურზა თავის სახელოვან ამხანაგების მსგავსად მხოლოდ იმას სცდილობს, რომ ქართველებს შოვინისტები უწოდოს და სომხებს კი კოსმოპოლიტები...

ამგვარად, გამოდის, რომ პროფესორთა გაზეთი „რუსკ. ვედ“. ორ ღმერთს ემსახურება. როცა დასკირდება სამართლიანობას იცავს და ხან კი უკიდურესს უსამართლობას და გაიძვერულს საშუალებას მიმართავს ხოლმე, რომელიმე ერის დასაწიხლავად.

გაზეთს არ მოსწონს ქართველები იმიტომ, რომ ისინი სომხებსაგვით არ მილიკენელობენ რუსებთან, წამაუწუმ თავის ღვაწლზე არა ჰყვირიან და სომხის მდიდრების მსგავსად „უფეშქაშებს“ არავის არ აძლევენ.

განა არის რუსეთის იმპერიაში ისეთი პატარა ერი, რომელშიც რუსეთს ქართველებზე მეტი სამსახური გაუწია.

მაგრამ განა ღირს ამაზე ლაპარაკი...

იმით აფასებენ და ჰერკულესის სახელს უწოდებენ, ვინც მათს რაღაცეაში შევა და კვენხას დაიწყებს, მას მოლოდინი ბრძოლის ველზე უშინდება. ჩვენ კედება, იმას არც კი იხსენიებენ...

მაგრამ გავა დრო, აფორიაქებული ცხოვრება წყნარ კალაპოტში ჩადგება და ისტორიაც ყველაფერს იტყვის, თუ ვინ, რა არის ან ვინ რა გააკეთა...

მანამდის კი ჩვენ რა გვეთქმის, გარდა ჩვეულებრივი გულისწყრომისა!

ა. ამერელი.

სვანების დეპუტაცია.

ამ დღეებში სვანეთიდან ჩამოვა დეპუტაცია, რომელიც უნდა წარუდგეს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ხალხის კირვარამის ასახსნელად და შემწეობის სათხოვნელად. ცოტ-ცოტა დახმარება თითქმის ყოველ მხარეს ეძლევა, ხოლო სვანეთი ყველასაგან მივიწყებულია, მიუხედავად იმისა, რომ ვერც ერთი მხარე საქართველოისა ეკონომიურად სვანეთისაგვით არ არის დაქვეითებული. ნამეტურ დღევანდელმა ომმა ამ მხარეს მთლად დაუყარვა ყოველივე იმედი და სახსარი არსებობისა.

წარსულ წლებში სვანეთში ძლიერ იშვიათი იყო, რომ მოსახლეს მოსელოდა წლის სარჩო და მის მარჩენალ წყაროთ ითვლებოდა უმთავრესად ღერხუმი, საიდანაც სვანი ტვირთით მიეზიდებოდა თავის ოჯახისაკენ სამი ოთხი დღის საჯალზე სიმინდს; ხოლო წარსული წლის მოუსავლობამ, სანოვავისა და უსაქიროფის საგნების საარაკო სიძვირემ მთლათ შეავიწროვა აქაური მკვიდრნი, მით უმეტეს, რომ ეს კუთხე ქალაქებზე ძლიერ დაშორებულია და ვაჭრობა-მარეწველობა და ფულის შოვნა ხალხისათვის შეუძლებელია. სხვაგან სანოვავე თუ გაძვირდა, მაგვირად ფული მაინც იშოვება. სვანეთში კი, როგორც სანოვავე, ისე ფულიც, გაძვირდა. ფული ბევრიც რომ ჰქონდესთ, საყიდათ მაინც ვერაფერს იშოვნიან, რადგან ღერხუმიც დამშუღლია და ფუთი სიმიდნი, თუ კი ვისმეს აქვს, ოთხ-ხუთ მანეთად ფასობს.

ამგვარად, სვანეთი ძლიერ განსაცდელშია ჩავარდნილი და თუ დახმარება არ აღმოუჩნდა, არ ეუწყით მომავალი როგორი დაუდგება, მით უმეტეს, რომ წელსაც საშინელმა წვიმებმა, ნიაღვრებმა და სეტყვამ მოსავალი მთლათ გაანადგურა.

დღეს ერთადერთ მათ იმედს შეადგენს ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, რომელსაც უნდა მიმართონ მათ, და, იმედია, ეგ პატივცემული საზოგადოება არ დასტოვებს უყურადღებოთ სვანეთის მუდარას და აღმოუჩენს სათანადო დახმარებას.

სვანეთში ნამყოფი.

მოსავლეთი ეპსკოპოსი.

იმდენი ღირსშესანიშნავი ადგილები, ვგანებ, არც ერთს პატარა ერს არ მოეძებნება, რამდენიც ჩვენ. ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნავი ადგილები ქართველი ერის შემოქმედებითი ნიჭისა და დიდების უტყუარი ნიშანია. რამდენი ქართველია, რომ ჩვენი დიდება და მშენება, ჩვენი სულისა და გულის დამატკობელი დიდებული მცემთა და მისი წმიდა სვეტი ცხოვლის ტაძარი არ უნახავს და მისი საკიროვებისათვის თავისი წვლილი არ გაუღია, რამდენი ქართველია, რომ ჩვენი განმანათლებელის წმინდა ნინოს საფლავი არ უნახავს და მისი თმით შემოჭილ წმინდა ვახის ჯვარს არ მოხვევია. დიდებული ალავერდი, ვარძია, საფარა, ასპინძის მიდორველი და სხვა მრავალი აღმო. სავლეთისა და დასავლეთი საქართველოს ისტორიული ადგილები, ჩვენი დაუდევრობის გამო, მივიწყებულია, როგორც დიდებისაგან, აგრეთვე მოხარდ ახალ-თაობისაგან.

დიდთ სასიხარულო მოვლენად უნდა ჩავსთვალოთ, რომ მოსწავლეთა ეკსკურსიები ჩვენი ტურფა ქვეყნის ისტორიული ადგილების დასათვლიერებლად ამ ბოლო დროს ფეხს იკიდებს ჩვენში. ამ მხრით ქუთათურ სასწავლებლებთა შორის უპირველესი ადგილი ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელს ეკუთვნის. ამ სასწავლებლის მოსწავლეები გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით სისტემატურათ ეცნობიან ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნავ ადგილებს სასიამოვნო სურათს

Titus.

საყურადღებო კანონი.

ერთმა მოღვაწემ სთქვა: „რუსეთში ცხოვრებისთვის აუცილებლად საჭირო კანონ-რეფორმები მაშინ მიეცემათ განხორციელებას, როდესაც უკიდურესი კრიტიკული მომენტი დადგებაო ჭე, მართლაც, დღევანდელ „არეულ-დარეულ“ დროში რუსეთში ბევრი კანონ-რეფორმა წამოაყენეს ცხოვრებაში გასატარებლად და ამ კანონ-რეფორმებს, როგორც წინად, დღესაც ბევრი მტრები გამოუჩნდნენ, მაგრამ, იმედია, რუსეთის პროგრესიული ნაწილი შესძლებს სიძნელის გადალახვას და ცხოვრებაში გაატარებს ისეთ წესწყობილებებს, რომელიც ქვეყნის კეთილდღეობას ხელს შეუწყობს, მშობელ ხალხს ძნელ ტვირის გაუადვილებს და მის საშუალებას მისცემს გათვითცნობიერებისა და თვითგანვითარების გზაზე დაადგეს.

ერთ ერთ ასეთ კანონად ჩითვლება „მუ

